

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ¹

CASE OF ÖNERYILDIZ v. TURKEY

2004 წელი, 30 ნოემბერი

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი, მამალაჰ ონერილდიზი არის თურქეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1955 წელს. შესაბამის დროს, იგი ცხოვრობდა თავის 12 ახლო ნათესავთან ერთად, ყაზმის ყარაბადის მიერუბულ ადგილას, უმრანში (სტამბული).

ყაზმი ყარაბადის ტერიტორია იყო, რუდიმენტული საცხოვრებელი სახლების ნაწილი, რომელიც აშენებული იყო მიწაზე ნებართვის გარეშე და გარემორტყმული ნაგავსაყრელით. აღნიშნული ნაგავსაყრელი ერთობლივად გამოიყენებოდა 4 ადგილობრივი საბჭოს მიერ 1970-იანი წლებიდან, სტამბულის მერიის

¹ CASE OF ÖNERYILDIZ v. TURKEY (განაცხადი №48939/99; 30/11/2004).



უფლებამოსილებისა და ანგარიშვალდებულების ფარგლებში. უმრანის ადგილობრივმა საბჭომ მიმართა უსკუდარის რაიონულ სასამართლოს, რომლის შუამდგომლობით შედგენილ 1991 წლის 7 მაისის საექსპერტო დასკვნაში ყურადღება გამახვილებული იყო იმ ფაქტზე, რომ არც ერთი ზომა არ იქნა მიღებული ნარჩენების დაშლის შედეგად გამოწვეული მეთანის აფეთქების თავიდან ასაცილებლად. ანგარიშმა გამოიწვია რიგი დავების მერებს შორის. თუმცა, ვიდრე ერთ-ერთი მათგანის დაწყებული სამართალწარმოება დასრულდებოდა, 1993 წლის 28 აპრილს, მეთანის ამოფრქვევა მოხდა ნაგავსაყრელზე და ნარჩენებისგან ამოფრქვეულმა გაზმა შთანთქა ნაგავსაყრელის ქვემოთ მდებარე 10-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ერთ-ერთი მათგანი განმცხადებელს ეკუთვნოდა, რომელმაც დაკარგა 9 ახლო ნათესავი.

საქმეზე ჩატარებული სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და ადმინისტრაციული მოკვლევის შემდეგ, უმრანის და სტამბულის მერები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. პირველ მათგანს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, ნაგავსაყრელთან არსებული უკანონო ქოხების დეკონსტრუქციის თაობაზე, ხოლო მეორემ ვერ განახორციელა ნაგავსაყრელის განახლება ან მისი დახურვა მიუხედავად 1991 წლის 7 მაისის ექსპერტიზის დასკვნებისა. 1996 წლის 4 აპრილს, ორივე მერი მსჯავრდებულ იქნა „სამსახურებრივ გულგრილობაში“ და ორივე დაჯარიმდა 160 000 თურქული ლირით (TRL) და მიესაჯათ სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა სამი თვის ვადით. მათთვის დანიშნული სასჯელები მოგვიანებით შემსუბუქდა ჯარიმის გადახდით, რომლის აღსრულებაც შეწყდა.

მოგვიანებით, განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი საკუთარი და მისი 3 გადარჩენილი შვილების სახელით სტამბულის ადმინისტრაციულ სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მიზნით. იგი ხელისუფლებას აკისრებდა პასუხისმგებლობას მისი ნათესავების გარდაცვალებისა და მისი ქონების განადგურებისთვის. 1995 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მთავრობას განმცხადებლისთვის და მისი შვილებისთვის უნდა გადაეხადა 100 000 000 თურქული ლირა მორალური ზიანისთვის და 10 000 000 თურქული ლირა საყოფაცხოვრებო ნივთების განადგურების გამო (შესაბამის დროს ექვივალენტია 2 077 EUR და 208 EUR).

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 2


სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გარდაცვალებასთან დაკავშირებით

სასამართლომ თავიდანვე აღნიშნა, რომ თურქეთში არსებობდა უსაფრთხოების რეგულაციები წინამდებარე საქმეში აღნიშნული ორივე საქმიანობის სფეროში – საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების ადგილებსა და ნაგავსაყრელის რეაბილიტაციის კუთხით.

1991 წლის 7 მაისის საექსპერტო დასკვნა კონკრეტულად ეხებოდა მეთანო გენეზისის პროცესში აფეთქების საფრთხეს, რადგან შესაბამისი ადგილი „ვერ უზრუნველყოფდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაშლის შედეგად დამდგარი მეთანის აირის აფეთქების თავიდან აცილებას.“ სასამართლომ მიიჩნია, რომ არც საფრთხის რეალობა და არც მისი მყისიერობა არ იყო დავის საგანი, განაცხადა, რომ აფეთქების რისკი ცხადად წარმოიშვა 1991 წლის 7 მაისის ანგარიშებამდე უფრო ადრე. ამასთან, დაწესებულების განგრძობითი ფუნქციონირება იმავე პირობებში დროთა განმავლობაში მხოლოდ ზრდიდა აღნიშნულ რისკს.

დაწესებულების ზედამხედველობასა და მართვაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული და მუნიციპალური სამსახურებისთვის შეუძლებელი იყო არ სცოდნოდათ მეთანო გენეზისისთვის დამახასიათებელი რისკების ან აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე, რადგან არსებობდა კონკრეტული რეგულაციები აღნიშნულთან დაკავშირებით. სასამართლო ასევე, დადგენილად მიიჩნევდა, რომ სხვადასხვა უწყებები ინფორმირებულნი იყვნენ აღნიშნული რისკების შესახებ 1991 წლის 27 მაისისთვის მაინც, როცა მათ ეცნობათ 1991 წლის 7 მაისის ანგარიში.

მას შემდეგ, რაც თურქეთის ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა რეალური ან მყისიერი საფრთხე იმ პირებისთვის, რომლებიც ნაგავსაყრელთან ახლოს ცხოვრობდნენ, მათ ჰქონდათ ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მიეღოთ ისეთი პრევენციული ხასიათის ზომები,



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

რომელიც აუცილებელი და საკმარისი იყო ასეთი პირების დასაცავად. განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ორგანოებმა თავად შექმნეს ასეთი დაწესებულება და ნება დართეს მის ფუნქციონირებას, რომელმაც წარმოშვა სადავო საფრთხე. თუმცა, სტამბულის მერიამ არა მხოლოდ ვერ მიიღო აუცილებელი გადაუდებელი ზომები, არამედ ეწინააღმდეგებოდა პრემიერ-მინისტრის გარემოს დაცვის სამსახურის რეკომენდაციას – დაწესებულება შესაბამის სტანდარტებთან თანხვედრაში მოეყვანა. იგი ასევე, ეწინააღმდეგებოდა უმრანის მერის მცდელობას 1992 წლის აგვისტოში, მიეღო სასამართლო უწყება ნარჩენების მომგროვებელი დაწესებულების დროებითი დახურვის თაობაზე.

რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებელი უკანონოდ მოქმედებდა ნაგავსაყრელთან დასახლების გამო, სასამართლომ დაასკვნა, რომ ქალაქის დაგეგმარების სფეროში დადგენილი სამართლებრივი აკრძალვების მიუხედავად, თურქეთის სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკა ნაგავსაყრელთან დაკავშირებით, ხელს უწყობდა ასეთი ადგილების ურბანულ გარემოში ინტეგრაციას. შესაბამისად, აღიარებდა მათ არსებობას და მოქალაქეთა ცხოვრების სტილს, რომელიც 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, თანდათან განვითარდა მათი საკუთარი სურვილით ან არსებული პოლიტიკის შედეგის გამო.

მოცემულ საქმეში, 1988 წლიდან 1993 წლის 28 აპრილის ინციდენტამდე, განმცხადებელი და მისი ახლო ნათესავები წყნარად ცხოვრობდნენ საკუთარ სახლში, მათ მიერვე შექმნილ სოციალურ და ოჯახურ გარემოში. ასევე აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები განმცხადებელს და უმრანის ნაგავსაყრელის სხვა მაცხოვრებლებს აკისრებდნენ ადგილობრივ გადასახადებს და უზრუნველყოფდნენ საჯარო მომსახურებით, რომლისთვისაც ისინი იბეგრებოდნენ. შესაბამისად, მთავრობა ვერ განაცხადებდა, რომ მათ არ ჰქონდათ ვალდებულება მსხვერპლის დაუდევრობიდან გამომდინარე ან წინასწარ განჭვრეტის არარსებობის გამო.

სტამბულის შესაბამის ნაწილში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ურბანულ პრობლემებთან დაკავშირებული პოლიტიკის მიღებასთან მიმართებით, სასამართლომ აღიარა, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენდა საკუთარი მოსაზრებების ჩანაცვლება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების სასარგებლოდ.




თუმცა, გაზის ამოსატუმბი სისტემის დროული დამონტაჟება უმრანში, ვიდრე მდგომარეობა ფატალური აღმოჩნდებოდა, იქნებოდა ეფექტური ზომა თურქეთის კანონმდებლობის და ზოგადი პრაქტიკის შესაბამისად ისე, რომ ხელისუფლების ორგანოებს არ დაეკისრებოდათ შეუძლებელი ან გადაუჭარბებელი ტვირთი. ასეთი ღონისძიება ჰუმანიტარული მოსაზრებების უკეთესი გამომხატველი იქნებოდა, რომელსაც მთავრობა უნდა დაყრდნობოდა სასამართლოს წინაშე, რათა გაემართლებინა ის ფაქტი, რომ მათ არ გადაუდგამთ რაიმე ნაბიჯი ნაგავსაყრელის მიდამოს იმყოფთიერ და სრულ განადგურებასთან დაკავშირებით.

ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობას არ უჩვენებია, რომ რაიმე ღონისძიებები იქნა გატარებული, რათა ნაგავსაყრელის ახლოს მოსახლეობისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ მიმდინარე რისკების შესახებ. მაშინაც კი, თუ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებდნენ ინფორმაციის მიღების უფლებას, ისინი არ თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისგან უფრო მეტი პრაქტიკული ღონისძიებების არარსებობის ფარგლებში, თავიდან აეცილებინათ ნაგავსაყრელთან მაცხოვრებელ პირთა სიცოცხლის მიმართ არსებული საფრთხეები.

დასკვნის სახით, სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეში გამოყენებული მარეგულირებელი ჩარჩო აღმოჩნდა ხარვეზიანი იმ კუთხით, რომ შესაბამისი ადგილი იხსნებოდა და ფუნქციონირებდა და არ არსებობდა თანმიმდევრული საზედამხედველო სისტემა. აღნიშნული სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა ზოგადმა პოლიტიკამ, რომელიც უცვლელი რჩებოდა ქალაქის დაგეგმვის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით და უდავოდ მონაწილეობდა მოვლენების იმ ჯაჭვში, რომელმაც აღნიშნული ინციდენტი გამოიწვია. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოძიების არსთან მიმართებით

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წესით, განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მოთხოვნა არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებულ მოთხოვნას – განმცხადებლის ახლო ნათესავების სიკვდილთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიების ჩატარების თაობაზე.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

რაც შეეხება გამოყენებულ სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალებებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ საგამომიებო ორგანოები შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოქმედებდნენ სამაგალითოდ სწრაფად და კეთილსინდისიერად 1993 წლის 28 აპრილის ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად, რომელიც ადამიანების გარდაცვალებით დასრულდა. მოხდა პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაცია და სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელთაც საბოლოოდ მისეჯათ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.


თუმცა, ამ საქმეში სისხლის სამართალწარმოების ერთადერთი მიზანი იყო იმის დადგენა, სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლიდან გამომდინარე, ეკისრებოდათ თუ არა პასუხისმგებლობა სახელისუფლებლო ორგანოებს „სამსახურებრივ გულგრილობაში“, რომელიც არანაირად არ უკავშირდებოდა სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ ქმედებებს ან კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სიცოცხლის უფლების დაცვას. 1996 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით, დროებით შეჩერდა განმცხადებლის ახლო ნათესავების სიკვდილთან დაკავშირებით ხელისუფლების შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხი.

შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამ უზრუნველყო საჯარო მოხელეების ან სახელისუფლებლო წარმომადგენლების სრული ანგარიშვალდებულება მათ როლთან მიმართებით ამ ტრაგედიაში, ან ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების ეფექტური განხორციელება სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით, კერძოდ, სისხლის სამართლით გათვალისწინებული შემაკავებელი ფუნქცია.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ასევე, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი განმცხადებლის ახლო ნათესავების გარდაცვალებასთან დაკავშირებით, არაადეკვატურ გამოძიებასთან მიმართებით.

კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთავრობის არგუმენტი, რომ თურქეთის ხელისუფლებამ განმცხადებლის სახლის განადგურებისგან თავი შეიკავა



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ჰუმანიტარული საფუძვლების გამო. 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოსთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვდა მათი მხრიდან პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, რაც სასამართლომ უკვე მიუთითა საცხოვრებლის განადგურების თავიდან ასაცილებლად.

სავარაუდოდ, განმცხადებელი უფლებამოსილი იყო შეეძინა სუბსიდირებული საცხოვრებელი ხელსაყრელი პირობებით, მაგრამ ამგვარად მიღებულ უპირატესობას არ შეიძლებოდა მისთვის დაეკარგა „მსხვერპლის“ სტატუსი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არაფერი მიუთითებდა ნასყიდობის ხელშეკრულებაში იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებამ აღიარა მისი საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევის შესახებ.

ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპენსაცია, რომელიც თურქეთის სასამართლოებმა მატერიალური ზიანისთვის მიანიჭეს განმცხადებელს, ჯერჯერობით, კვლავ არ იქნა გადახდილი, მიუხედავად საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი.

მუხლი 13

რაც შეეხება განაცხადს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე

განმცხადებლის მიერ გამოყენებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი ღონისძიება საკმარისი აღმოჩნდა, რათა აღსრულებულიყო საჩივრის არსი მისი ნათესავების გარდაცვალებასთან დაკავშირებით და საკმარისი აღმოჩნდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის ადეკვატურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება იყო არაეფექტური რამდენიმე კუთხით და გადამწყვეტად მიიჩნია, რომ განმცხადებლისთვის დადგენილი კომპენსაცია – მხოლოდ მისი ახლო ნათესავების



დაკარგვის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების კუთხით, არასოდეს გადახდილა მის მიმართ.


სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კომპენსაციის საბოლოო თანხის დროული გადახდა დაზარალებულისთვის, მიჩნეულ უნდა იქნეს სამართლებრივი დაცვის საშუალების აუცილებელ ელემენტად კონვენციის მე-13 მუხლის ფარგლებში დაქვრივებული მეუღლისთვის ან მშობლისთვის. სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოს დასჭირდა 4 წელი, 11 თვე და 10 დღე გადაწყვეტილების მისაღებად – პერიოდი, რომელიც მიანიშნებდა მისი მხრიდან კეთილსინდისიერების ნაკლებობაზე, განსაკუთრებით, განმცხადებლის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით.

აღნიშნული მიზეზების საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება არ უზრუნველყოფდა განმცხადებელს ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სახელმწიფოს მიერ მისი ახლო ნათესავების სიცოცხლეების დაუცველობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

რაც შეეხება განაცხადს კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლიდან გამომდინარე

როგორც უკვე აღინიშნა, კომპენსაციის თაობაზე გადაწყვეტილება უკვე დიდი ხანია არსებობს და საყოფაცხოვრებო ნივთების განადგურებისთვის მინიჭებული თანხა არასოდეს ყოფილა გადახდილი. შესაბამისად, განმცხადებელს არ ჰქონდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განაცხადთან მიმართებით ასევე, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (მატერიალური ასპექტი) იმ ფაქტის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა განმცხადებლის 9 ახლო ნათესავის გარდაცვალების პრევენციის მიზნით;

დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (პროცედურული ასპექტი) იმის გამო, რომ კანონმდებლობით ადეკვატურად ვერ იქნა უზრუნველყოფილი სიცოცხლის უფლების დაცვა;

დაირღვა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი (საკუთრების დაცვა);

დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) კონვენციის მე-2 მუხლთან (მატერიალური ასპექტი) ერთად;

დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთად.